№ 63

ოთხშაბათი, 2 აპრილი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 63

ოთხშაბათი, 2 აპრილი 1897 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, 1 აპრილს ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიის ეკკლესიაში პანაშვიდი იყო გადახდილი განსვენებულ დიდის მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ მოსწავლენი, მასწავლებელნი და უფროსნი ამ გიმნაზიისა და აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. ა. იანოვსკი.

⁂ გუშინ, 1 აპრილს ქალაქის გამგეობაში ტირაჟი იყო პირველ საობლიგაციო სესხის ობლიგაციებისა. ტირაჟში გამოვიდა 1000 და 100 მან. ობლიგაციები სულ 18,800 მან.

⁂ ხვალ ქალაქის გამგეობაში დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-ტეხნიკოსებისა და ექიმებისა გადამდებ სენით ავადმყოფებისთვის საავადმყოფოს გამართვის შესახებ.

⁂ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი გუშინ მცხეთაში წავიდა.

⁂ ახალი სამხედრო ტაძარი, როგორც შევიტყეთ, უკვე მზად არის და კავკასიის მთავარმართებლის გენერალ-ლეიტენანტ თავ. გ. ს. გოლიცინის ბრძანებას ელიან, რომ აკურთხონ იგი. ეკკლესიისთვის გამოწერილი მოსკოვიდგან ნივთეულობა სულ მიუღიათ. გუშინ ხალებიც იყიდეს. ეკკლესიის შემკობას სულ ორს დღეს მოუნდებიან, რაკი მის კურთხევის ბრძანებას მიიღებენ.

ძველს სამხედრო ტაძარს, რომელიც ალექსანდრეს ბაღშია, ახალ ტაძრის კურთხევის შემდეგ სამხედრო უწყება გადასცემს მეტეხის საპატიმროს, მხოლოდ ჯარის ძველს დროშებს და სხვა-და-სხვა შემოწირულებას ძველის ტაძრიდგან ახალში გადაიტანენ.

⁂ კონსულის ქუჩაზე მცხოვრებელმა ს. ს. ა. გ. დეკონსკიმ გამოუცხადა პოლიცმეისტერს, რომ ჩემმა ცოლმა შესჭამა თუ არა შაქრის პური, რომელიც ნაყიდი იყო სოლოლაკში, ივანოვის შაქარლამეების (საკონდიტრო) დუქანში, მაშინათვე მოწამვლის ნიშნები იგრძნოვო. პოლიცმეისტერს მე-4 ნაწილის ბოქაულის თანაშემწესათვის მიუნდვია ამ საქმის გამოძიება და დათვალიერება ზემოხსენებულ დუქნისა ქალაქის ექიმისა და ქიმიკოსის თანადასწრებით.

⁂ პირველ აპრილიდგან ტფილისში საზაფხულო ნიხრი დაიწყებს მოქმედებას ეტლებისათვის. აქამდის ერთი ორად უნდა მიეცა მგზავრს მეეტლესათვის, ღამის პირველ საათს რაკი გადასცდებოდა. დღეიდგან-კი მთელის ზაფხულის განმავლობაში ის უნდა გადაიხადოს, რაც დაწესებულია დღისით სასიარულოდ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება გასცა, რომლითაც აუკრძალა მეეტლებს ცხენის რკინის გზის ლიანდაგზე სიარული, ამიტომ სასამართლოები უყურადღებოდ სტოვებენ ხოლმე მეეტლების საჩივარს, რომ ცხენის რკინის გზის ლიანდაგმა წაგვიხდინა ეტლი, გვაზარალა და ზარალი გადაახდევინეთო. ეხლა, როგორც გაზ. „ახ. მიმოხ." სწერს: ტფილისის მეეტლეებს თხოვნა შეუტანიათ ცხენის რკინის გზის ქალაქის გამგეობის კომისიაში, რომ გვიშველეთ რამე და დაგვიხსენით ამ გაჭირვებისაგანაო. კომისიამ განიხილა რა თხოვნა, დაადგინა ვთხოვოთ ქალაქის საბჭოს, რომ იშუამდგომლოს პოლიცმეისტერთან ზემოხსენებულ განკარგულების შეცვლის შესახებაო.

⁂ პეტერბურგიდგან გამოგზავნილ კამისიას შავჭირთან საბრძოლველად ბათუმში მოუსურვებია იქ გაჰმართოს ამ თავითვე 1,000 კაცისათვის დროებითი ფარდული შავის ჭირის ავადმყოფებისათვის. ამ შენობებისათვის გადადებულია 20,000 მან. კამისიის თავმჯდომარე გენერალი ვასმუნდი უკვე დაეკითხა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, რადგანაც კავკასიის რკინის გზაც აშენებს ფარდულებს შავის ჭირით შეპყრობილთათვის. ურიგო არ იქნება, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზაც შემოგვიერთდეს და უფრო კარგად და ფართოდ მოვაწყოთ და ავაშენოთ ეს ფარდულებიო. ამიერ-კავკასიის რკინის გზას ჯერ პასუხი არ მიუცია, რადგანაც ჯერ პეტერბურგიდგან მოელის ამ საგნის შესახებს პასუხს.

⁂ ამ დღეებში საფრანგეთის ელჩმა ტფილისში მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და ჰსთხოვა, შეგვატყობინეთ სასტატისტიკო ცნობები მეცხვარეობის შესახებ კავკასიაში, სახელდობრ რამდენი სული ცხვარი ითვლება ამ წელს და რამდენი ფუთი მატყლი იქმნა დამზადებული წარსულ 1896 წელს. ხსენებულ სიზოგადოებას არ სცოდნია სწორე ცნობები ამ საგნის შესახებ, ხოლო დაახლოვებით შემდეგი ცნობები გაუგზავნია ელჩისათვის: 4 მილიონი სული ცხვარია, შარშან ნახევარ მილიონი ფუთი მატყლი იქმნა გატანილი სამზღვარ-გარეთ. უმეტესი ნაწილი ცხვარი და მატყლი თუშურიაო.

⁂ თ. ნიკოლოოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის მემკვიდრეებმა განსვენებულის სურვილისამებრ გადასცეს ძველ ნაშთთა შემკრებელს ა. ს. რონინაშვილს შესანახად 10 საარხეოლოგიო ძვირფასი ნივთი მომავალ ქართულ მუზეუმისათვის გადასაცემად.

⁂ თავის დროზე მკითხველებს ვაცნობეთ, რომ ტფილისსა და ავჭალის შუა, თ. გურამიშვილების მამულებზე ახალშენი უნდათ გააშენონო. ამ ჟამად ეს სურვილი მალე იქმნება სისრულეში მოყვანილი, რადგან 340 ნაჭერ მიწიდგან ასზე ნაკლებიღა დარჩა გაუყიდავიო. აქა-იქ სახლების აშენებას მიჰყვეს კიდეც ხელი, იფარგლავენ მესერით ნაყიდს მამულებს და რგავენ ხეებს. იმედია, ეს ახალშენი მალე გადიდდება, რადგან ახლო-მახლო სახლების ასაშენებელი მასალა ბევრია და ადვილად საშოვნელი, როგორც, მაგალითებრ, ქვა, ქვიშა, თიხა და აგური (გამართულია უკვე აგურის ქარხანა.) იატაკჭერისათვის საჭირო ფიცრებსაც ადვილად იშოვნიან, ვიდრე ტფილისში; ბორჯომიდგანა და სხვა ადგილებიდგან მომავალს ტივებს აქ უფრო იაფად იშოვის კაცი, ვიდრე ტფილისში. ამ დღეებში შეყრილან მამულის პატრონები და ამოურჩევიათ კომისიაში. შემდეგნი: ბილფელდი, გლაზუნოვი, კუგინი, ელჩუკოვი, დობროვისა, აკინფიევი, კვესი, დეგასი, ერნი, კირილენკო და გლიკო, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ ამ ახალ-შენს დაერქვას ღრმა-ღელე, რკინის გზისათვის ფარდული გაიმართოს, სოფლისათვის საჭირო წყალი იქმნას გამოყვანილი და სხვანი.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი ი. ი. დებელი, რომელიც დანიშნულია ამავე თანამდებობაზედ ტფილისს.

⁂ ჩვენ ამას წინად გაზ. „Нов. Обоз."-დგან გადმობეჭდილი გვქონდა ერთი ამბავი ქუთაისისა იმის შესახებ, რომ ივანოვის მამული სათავად-აზნაურო ბანკს გაეყიდნოს, ამის გამო ივანოვი ჭკუიდგან შეშლილიყოს და იმის შვილები დიდს გაჭირვებაში იმყოფებოდნენ. ეხლა იმავე გაზეთში წერილია დაბეჭდილი თვით ბ-ნ ვ. ტ. ივანოვისა, რომელიც აცნობებს რედაქციას, რომ ჭკუაზე სულაც არ შევშლილვარ, ის მამული ისეთის პატიოსანის კაცის ხელში ჩავარდა, რომ იგი თანახმაა თავის მიერ ბანკში შეტანილი ფული უკანვე დაიბრუნოს და მამული პატრონსავე ჩააბაროსო. ყოველივე ამ მამულის შესახებ წერილი აშკარა შეცდომაა თქვენის კორესპონდენტისაო.

⁂ ამბობდნენ გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში ეგზამენები უნდათ გააუქმონო, მაგრამ ეს ხმები ტყუილი გამოდგა. ამ დღეებში კავკასიის სამოსწავლო ოლქს მოსვლია

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

ეგ რატო იცით, ჭაბუკნო,
ალარვის აგდებთ კაცადა,
ცას ქუდად აღარ ჰკადრულობთ
და დედამიწას ტყლაპადა,
ბრძენთა ბრძენობას იჩემებთ,
ღმერთსაც-კი უცქერთ გლახადა,
და საქმის დროს-კი საწყალნო
მჭადივით სცვივით თაფადა!..

დ. მაჩხანელი

### პროფესორ ფრანკლინ გიდდინგსის აზრი საზოგადოებრივ თეორიის შესახებ.

ამ ბოლო ხანამდის სოციოლოგიაში ის მიმართულება იყო გამეფებული, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენას განმარტავდა ფიზიკურის მიზეზებით, ე. ი. გვარ-ტომობისა, ჰაერისა, ჩამომავლობისა და ისტორიულ გარემოებათა ზეგავლენით; მაგრამ ამასთან თანდათან ის აზრიც იკიდებდა ფეხს, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენათ ახსნას ადამიანის ბუნების თვისებასა, ზნეობრივ წარმოდგენასა და იდეალებში ეძებდა. ამ უკანასკნელის მიმართულების მიმდევარია ამერიკელი პროფესორი ფრანკლინ გიდდინგსი, რომლის წიგნიც — „სოციოლოგიის პრინციპები" ეხლა ხან დაიბეჭდა.

გიდდინგსი ამბობს, ფიზიკური განმარტება საზოგადოებისა ცალმხრივიაო. საზოგადოებრივი ცხოვრება, ამბობს იგი, უეჭველად ორ გვარ მოვლენას წარმოადგენს,—ფიზიკურსა და ფსიხიურს, რომელნიც გაუყოფელ და ერთურთზედ დამოკიდებულნი არიან. მხოლოდ საჭიროა გამოვნახ-გამოვიკვლიოთ საზოგადოებრივ მოვლენათა განსხვავებანი და განსაკუთრებულნი თვისებანი ასეთს განსხვავებითს თვისებას ინდივიდის, პიროვნების განსაკუთრებული გონებრივი მდგომარეობა წარმოადგენს, რომელსაც გიდდინგსი „გვარ-ტომობის შეგნებას" უწოდებს და რომლის შემწეობითაც ერთს არსებას მეორე ერთი და იგივე გვარ-ტომის წარმომადგენელად მიაჩნია. ამ მსგავსებისა და ერთის საზოგადოებრივის ჯგუფის კუთვნილების შეგნებაში სძევს, გიდდინგსის აზრით, საზოგადოებრივ მოვლენათა ფსიხოლოგიური საფუძველი. გვარ-ტომობის შეგნების შემწეობით ხდებოდა გარჩევა სულიერისა არა სულიერისაგან; სულიერთა სამეფო იყოფა მოდგმათავობად და გვარ-ტომებად, რომელნიც თავის მხრივ ნათესაურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფწოდებად ნაწილდებიან. ეს გონებრივი მდგომარეობა ე. ი. გვარ-ტომობის შეგნება გიდდინგსს დანარჩენ ფსიხიურ მიზეზების სათავედ მიაჩნია; ამასთან იგი სხვა მიზეზებზედ ღრმა და ძლიერია, რადგანაც არსებითად სცვლის, ასხვაფერებს დანარჩენ მიზეზთა ზეგავლენას. ხშირად თითოეული მუშა წრე-ჯგუფის ერთობის სურვილით ამოძრავებული მწარმოებლის მოწინაალმდეგე-ურჩთა წრეს უერთდება თვისის კერძო სარგებლობის წინაალმდეგ.

ნაჩვენებ საზოგადოებრივ მოვლენათა ორ დარგად გაყოფას—ფიზიკურს და ფსიხიურს, არავითარი საერთო არა აქვს-რა იმ ფილოსოფიურ შეხედულებასთან, რომელსაც სული და მატერია ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ და წინაალმდეგად მიაჩნია. გიდდინგსი ამბობს, საზოგადოებრივი ენერგია გარდაქმნილ-გადასხვაფერებული ფიზიკური ენერგიაა, მხოლოდ ცნობიერების სხივით განათებულ გაცისკროვნებული. ამისათვის ფსიხიური მოქმედება ისეთივე „ბუნებრივ მიზეზად" ხდება, როგორიც სხვა ყველა ენერგია, და ყოველთვის მომავალს შედეგებზედ გავლენა აქვს.

გიდდინგსის აზრით, საზოგადოებრივ განვითარება-წინმსვლელობაში კაცისაგან წარმომდგარს ხელოვნურს, შემოქმედებითს ძალას უფრო დიდი და საპატიო ადგილი უკავია, ვიდრე ბუნებისაგან წარმომდგარს ბუნებრივ მოძრაობა-პროცესს. ის აღიარებს, რომ თუმცა პიროვნება გარემოებისაგან დამოკიდებულია, იმავ დროს იმისი ყურ-მოჭრილი მონა-მორჩილი კი არ არის, არამედ იგი მომქმედია, რომელიც გარემოებას თავისს სარგებლობა საჭიროებისათვის ცნობიერად იყენებს. იმისის აზრით, პიროვნების დონეზედ დაყენება, დამთავრებ-დამარაგება იმდენი ფიზიკურის გარემოების ზეგავლენით არა სწარმოებს, რამდენადაც ადამიანისაგანვე ხელოვნურად შექმნილ გარემოებათაგან. როგორც წარსულში, ისე აწმყოში კაცი თავისის ბედის შემოქმედი იყო და იმისი მომავალიც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შესძლებს განახორციელოს თვისი ბედნიერების გამაძლიერებელნი და ტანჯვა-წვალების შემამცირებელნი გარემოებანი.

თავდაპირველად, ამბობს გიდდინგსი, საზოგადოებრივი შეკავშირებ-შეამხანაგება მხოლოდ ფიზიკურ-გარემოებათა ზეგავლენით ხდებოდა, მაგ. ინდივიდთა რომელსამე ადგილას შეგროვება დამოკიდებული იყო საკვებ-სანოვაგის რაოდენობასა, ჰაერის თვისებასა და ადგილ-მდებარეობისაგან. კარგს ვითარებაში ინდივიდთა რაოდენობა ჰმატულობს დაბადებულთა და ახლად გადმოსახლებულთა წყალობით. ამ ნაირად ჩნდება ბუნებრივი ჯგუფი მცხოვრებთა. თანდათან ამ ჯგუფს ფსიხიური პროცესი მკაფიოდ ემჩნევა. ერთგვარ ჯგუფ-

ბრძანება, რომ ყველა სასწავლებელში წინა წლებივით დანიშნეთ გამოსაცდელი ეგზამენებიო.

⁂ პირველ დედათა სასწავლებლის მასწავლებელთ განუზრახავთ ძეგლი აუგონ სასწავლებლის დამაარსებელს ოლგა თეოდორეს ასულს ბ-ნ მექანდაკის ხოდოროვიჩის ქანდაკების ნიმუშისამებრ. ძეგლი უნდა დაიდგას მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ, გოლოვინის პროსპექტზედ იმ ადგილას, სადაც ალაყაფის კარებია გიმნაზიის ეზოში ჩასასვლელად. ძეგლისათვის საჭირო ფულის შესაკრეფად, რომელსაც 35,000 მ. დასჭირდება, უნდათ ხელის მოწერა გამართონ მთელს კავკასიაში („ტფ. ფურც.“).

⁂ გუშინდელის დღიდგან (1 აპრილი) ცხენის რკინის გზის ვაგონები ახალის, საზაფხულოდ მიღებულის წესით დადიან. ამ წესით უკანასკნელი ვაგონები მუშტაიდიდგან საღამოს $11^1/_2$ საათზედ წამოვა, ხოლო დილ-დილობით ნახევარ საათით ადრე გამოვა სამუშაოდ, ვიდრე აქამდის გამოდიოდა.

⁂ 30 მარტს ნახშირ-ტყიბულის მეაქციეთა საზოგადოებას წლიური კრება ჰქონდა, რომელსაც მ. ი. დოლუხანოვი თავმჯდომარეობდა. კრებამ წარსულის წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მუშაობის გეგმა დაამტკიცა. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას შარშან 45 ათასი მან. ზარალი ჰქონია. საზოგადოების საქმეთა გაუმჯობესების გეგმის შესადგენად კომისია იქმნა არჩეული. ბოლოს საზოგადოების მოხელენი აირჩიეს: თავ. დ. ა. გურამიშვილის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუვიდა და მეორედ კენჭის ყრაზედ უარი განაცხადა, დირექტორად ინჟინერი ბექზადოვი იქმნა არჩეული, ხოლო დირექტორის კანდიდატად, ა. გ. იუზბაშევი, სარევიზიო კამისიის წევრებად—ა. ს. ფრენკელი, ნ. ა. ათაბეგოვი და ე. ა. წატუროვი.

⁂ ახალციხე. ქ. ახალციხეში ძველის ქალაქის (რაბათის) პირდაპირ, მდინარე ფოცხოვს გაღმა, ერთი მკურნალი წყალი გამოდის კლდიდგან, რომელიც თავის ტკივილს ჰრგებს ძალიან. საკმარისია თურმე ერთი ლიტრა იმ წყლისა თავზედ დაისხა და თავის ტკივილი გაუვლის ადამიანს. რადგანაც ამ წყაროს გვერდით ძველადვე ქართველების სამლოცველო იყო პატარა ნიში და სენაკი, ამიტომ ქართველები ჰპატრონობდნენ ამ ადგილს, ხოლო წყალი ყველას უფასოდ მიჰქონდა და სამლოცველოს შემოსავალს-კი (რადგან დიდ-ძალი ხალხი ლოცულობს) ქართველი სამღვდელოება იღებდა. ამ მარტის დამდეგს ვიღაც ახალციხელს სომხებს ღამე მიუტანიათ და ამ ნიშში თავიანთი ხატები დაუსვენებიათ, წაუღიათ აგრეთვე მასალა, სამლოცველო გადაუკეთებიათ, დაუდვიათ ზედ საკეტი და ძალათი დაჰპატრონებიან. ახალციხის ბლაღოჩინს მ. ხახუტაშვილს ამის გამო საჩივარი შეუტანია საქართველოს ეგზარხოსთან.

⁂ ბათუმი. აქ შავი სახადი და ყვავილია მოდებული მუშებს შორის.

⁂ თელავი. 24 მარტს თელავის მაზრის სოფ. შილდაში დროებით მცხოვრებელმა ალექსი ყაზარაშვილმა უცაბედად სასიკვდილოდ დასჭრა თოფით შილდაში ამოსული კაკაბეთის მცხოვრებელი ალექსი კუპატაძე.

### ქალაქის საბჭო

31 მარტი

საბჭომ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა: არსებულ დაფასების ბაჟის $^1/_8$ ნაწილი, რომელიც წარსულმა კრებამ მამულის მეპატრონეთ კიდევ შეაწერა, ნახევარ წლის გარდასახადთან ერთად პირველ აგვისტომდე უნდა იკრიბებოდესო.

საბჭოს მოხსენდა მიხეილის ქუჩის მემამულეთა თხოვნა, რომ ხსენებულ ქუჩაზედ გაყვანილის წყლის მილით მარტო ზეტცერის მამული სარგებლობს, ჩვენთვის იმას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ამიტომ იმ მილის გაყვანისათვის ჩვენ მიერ შემოტანილი ფული უკანვე დაგვიბრუნეთო. ქალაქის გამგეობა ამ საგნის შესახებ იმ აზრისაა, რომ მთხოვნელთ 1538 მან. და 25 კაპ. დაუბრუნოთო.

მცირეოდენის სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა: გამგეობის გარდაწყვეტილების თანახმად, მთხოვნელთ 1538 მ. 25 კ. დაუბრუნდესო.

საბჭომ ხმის უმეტესობით ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიის დეპუტატად თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი აირჩია, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკის ადგილას, რომელიც, რაკი ქალაქის გამგეობის წევრად იქმნა არჩეული, ხსენებულ თანამდებობას ველარ იკისრებს.

ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა საბჭოს მოახსენა, რომ ბეითალმა შეინ-ფოგელმა, რომელიც საქალაქო სამსახურში იყო, ბ-ნ გუბერნატორს სთხოვა—ქალაქმა მას პენსია დაუნიშნოს, და გუბერნატორმა ეს თხოვნა ჩვენ გადმოგვცა განსახილველადო. ხოლო გამგეობა იმ აზრის არის, რომ ფულის უქონლობისა გამო, ბ-ნ შეინ-ფოგელს უარი ეთქვასო.

საბჭო გამგეობის აზრს დაეთანხმა.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა გამგეობის მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, რომ რკინის გზით ქალაქში რამდენ საქონელსაც მოიტანენ, ან წაიღებენ, თითოეულს ფუთს ქალაქის სასარგებლოდ ბაჟი შეეწეროსო. ხოლო რაც აქედგან ფული შეგროვდება, იგი რკინის გზის სადგურთან მისასვლელ გზების გაკეთებასა და საზოგადოდ ქალაქის ქუჩების გაუმჯობესობას უნდა მოხმარდესო.—ყველა საქონელი სამ რიგად არის გაყოფილი: პირველ რიგისას, რომელსაც უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საქონელი ეკუთვნის, როგორც მაგალითად ფქვილი, შეშა, ბზე და სხ., ბაჟი არ უნდა შეეწეროს, მეორე რიგის საქონელს $^1/_4$ კაპ. შეეწერება და მესამე რიგისას—$^1/_2$ კაპ.

საბჭომ ეს წინადადება შეიწყნარა. ბოლოს საბჭომ ემილია დარაგანის თხოვნა განიხილა. დარაგანი ჩიოდა, რომ ქალაქის გამგეობამ ჩემს მიწაზედ სახლის აშენების ნება არ მომცაო.

საბჭომ დარაგანის თხოვნა არ შეიწყნარა, რადგან იმის მიწა ზომით მხოლოდ 16 საჟ. ყოფილა და თუ იქ სახლი აშენდა, საეზოვე ადგილი სულ აღარ რჩება, რაიცა შემავიწროებელი იქმნება როგორც იმ სახლის მდგმურთათვის, ისე სხვებისათვისაცა. გარდა ამისა, ცეცხლი რომ გაუჩნდეს იმ სახლს, ეზოს უქონლობის გამო, მისი ჩაქრობა ძნელი იქმნებაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ხევი.** სტეფან-წმიდაში სკოლისა და წიგნთ-საცავის დაარსებამ, თუმცა დიდი სწავლა-კი არავის შესძინა, მაგრამ ისიც უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ გარეშე სოფლებშიაც ქართულის წიგნების კითხვისა და სწავლის სურვილი აღძრა. ამ სამის წლის წინად როგორც თვით სტეფან-წმიდაში, ისე სხვა მიყრუებულს სოფლებში, თუ არ მღვდელს, მწერალს, მიკიტანს და სხვა მოხელეს, იშვიათად ჰნახავდით კაცს წიგნის მცოდნეს, ახლა-კი ყოველ წელს, კაცებს გარდა, სკოლაში 7—10 ქალიც სწავლობს და ეს ჩვენთვის დიდი ამბავია. ქალები თავისს სწავლას უნაწილებენ თავიანთ დანარჩენს ძმებს და დებს და ამათი სოფლებში გასშირდნენ ანბანის მცოდნე გოგო-ბიჭები. ამისი მაგალითებით დასაბუთებაც შეიძლება: ბ-ნმა კავკავის ქართულის სკოლის მასწავლებელმა ლ. ბოცვაძემ გადმომცა 50-მდე წვრილი წიგნები ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემულნი ხალხში მუქთად დასარიგებლად. მე ეს წიგნაკები სტეფან-წმიდაში 5 მეტი არ დავარიგე, რადგანაც იქ სკოლაც არის მსურველთათვის და წიგნთ-საცავიცა. ამიტომ დანარჩენი გამოცემები წავიღე დასარიგებლად სტეფან-წმიდაზედ 7—12 ვერსით დაშორებულს სოფლებში, სადაც არც სკოლის სხივი მიჰკარებიათ და არც წიგნების კითხვის გემო უგემნიათ. სოფ. გარბანში, სადაც 20-მდე კომლი არის, სულ ახლად ანბან შესწავლილი 12-დე გოგო და ბიჭი აღმოჩნდა, აქ დავარიგე 25 ცალი; სოფ. სიონში აღმოჩნდა 16 გოგო და ბიჭი, აქაც 45 კომლი არის და ეს ბავშვებიც უსკოლოდ ანბანსა სწავლობენ; სოფ. გორისციხეს, რომელშიც 55 კომლი სცხოვრობს, აღმოჩნდა უსკოლოდ ნასწავლი 9 ყმაწვილი. სოფ. ხურთის დავარიგე 6 ცალი, აქაც 29 კომლამდე გლეხი ირიცხება. ამ ჩამოთვლილს მოსწავლე ბავშვებში ორჯელ მეტი გოგოები არიან. ეს იმითი აიხსნება, რომ მოხევეები, თუ გუდის ტარება შეიძლო ბავშვმა, ნებას არ აძლევენ სწავლისასა, მაშინვე ან მწყემსად, ან ურემზედ და ან სხვა რამე სამუშაოზედ დასაქმავენ და გოგოები-კი შინ არიან თავისუფლად და სწავლასაც არავინ უშლის.

დიაღ, ხალხში თუმცა სწავლის სურვილი აღძრული არის, მაგრამ პატრონი-კი არავინაა. არც საკმაო წიგნებია და არც მასწავლებელი, თორემ არა ქვეყანაში ამისთანა მიმბაძავი ხალხი არ იქნება. ამ წიგნაკების დარიგებამ ისე იმოქმედა სოფლებში, რომ ყველა უცოდინარი გოგოები და ბიჭებიც-კი კარზედ მომადგნენ და მეღაღადებოდნენ, ჩვენც მოგვეცი წიგნები, ჩვენც ვისწავლითო. ზოგიერთი მშობლებიც სამდურავს მითვლიან, რატომ ჩვენს ბავშვებს კი არ მიეცი წიგნებიო.

ზოგის მშობლების საქციელისას-კი ბავშვების მიმართ სასიამოვნოს ვერას მოგახსენებთ. აქეთ დიდ ოჯახებად ითვლებიან ისინი, რომელთაც გაუშენებიათ 1000—3000-დე სული ცხვარი და თანაც ოთხი ძმა ანუ ხუთი ერთად სცხოვრობს. რასაკვირველია, ამ ძმებს ყველას ხომ ერთად არ ეყოლება შვილები, რომ ერთბაშად საწილოზედ თითო ბავშვი სკოლაში მისცენ. ამ გარემოების მიზეზით ძმა ძმას შვილის აღზრდის ნებას არ აძლევს და საბადლოდ ცხვარში ჰგზავნის 10—12 წლის ბავშვსა. მე ვიყავი ერთის აქაურის შეძლებულ მეცხვარის ოჯახში, რომლის სახლიდგან ორის ძმის ათ-ათის წლის ბავშვებს ერთის კვირის წინად სკოლაში დაეწყოთ სიარული. (დანარჩენს ძმებს-კი შვილები არა ჰყავდათ). თურმე მანდილოსნებს ერთურთში ჩხუბი მოუვიდათ, ამ დროს დედა მოუწია შვილს შიგ სკოლის გაკვეთილში და ცემა-ტყეპით წაიყვანა უკან. ბავშვებმა ორის დღის შემდეგ აბგები აიღეს ჩუმად, წიგნებიც ჩაიდვეს და სკოლისაკენ გაემართნენ

---

თა შორის ჩნდება პირველ-ყოფილი ფორმები დაახლოვებ-შეკავშირებისა. აქედგან პიროვნების განვითარება იწყება, როგორც ჯგუფის წევრისა, და იმ ინდივიდთა კავშირისა, რომელსაც საზოგადოება ჰქვიან. პირველ-ყოფილ ჯგუფთა შორის, შეკავშირების გაძლიერების მთავარ მიზეზად, მიბაძვაა, რაიცა ჯგუფის წევრთ აერთებდა. ამ მიბაძვის წყალობითვე მსგავსებისა და მახლობელობის შეგნება ჩნდებოდა, რასაც სხვა-და-სხვა გვარ კავშირ-ამხანაგობათა დაარსება-დამყარება მოსდევდა. კავშირს პიროვნების გონება-ზნეობრივ განვითარებაზედ დიდი გავლენა ჰქონდა, მაგალითად, პიროვნებათა აზროვნებას ან ვითარებ-აძლიერებდა, მათ ჩვეულებ-მიდრეკილებათ აფაქიზ-ასპეტაკებდა, ერთობა-ძმობის გრძნობების დამყარებას ეხმარებოდა, ამ ნიადაგზედ აღმოცენებულნი ფსიხიურნი ცვლილებანი ჰმოქმედებდნენ ტვინის ძაფებსა და ტვინზედ და ამათის მეოხებით მთელს სხეულზედაც.

აზროვნების განვითარებას ინდივიდის მხრივ საზოგადოებრივ მოვლენათა ცნობიერად გათვალისწინება მოჰყვა. თანდათან ის რწმენა იმარჯვებდა, რომ საზოგადოებრივი არსებობა თავის დაფარვა-დაცვისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უმჯობესი საშუალებაა. მიზეზით კერძო ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობის დაცვა-გაუმჯობესებასა სცდილობდა, საზოგადოება სანატრელ საგნად და ცნობიერად შეკავშირების შედეგადა ხდებოდა. ესე, ნელ-ნელა ცნობიერის, ხელოვნურის შერჩევის მოქმედება წარმატებაში შედიოდა და საზოგადოებრივ განვითარების საპატიო მიზეზად ხდებოდა, ბუნებრივ შერჩევის მსგავსად.

ცნობიერს საზოგადოებრივ შერჩევას დამოკიდებულება გონებასა და სურვილებთანა აქვს. საზოგადოება, წარსულში მოპოვებულის და ახლად შეძენილის ცოდნით აღჭურვილი, არსებობისათვის ბრძოლაში იმ სავალ გზას ირჩევს, რომელიც იმისათვის სასურველი და ღირებულია. გონივრულია შერჩევა უსათუოდ არა მარტო ნატვრა-სურვილების, არამედ სულის უმაღლეს ინტელლექტუალურის თვისებების გავლენას თხოულობს. შერჩევის გამარჯვება გონების გრძნობის გადაჭარბებისაგან არის დამოკიდებული. თავისს წინმსვლელობის დროს საზოგადოებამ თან-და-თან იდეალები და შერჩევის ავ-კარგის მიგნება შეიმუშავა, კერძო ძალასა და სარგებლობის შეხედულობას სიმართლისა და გულ-ღმობიერება სიყვარულის შეგნება მოსდევს, რომელთა გავლენა დღითიდღე ჰმატულობს.

გიდდინგსი, პიროვნებისა და საზოგადოების ერთურთ ზეგავლენას არ უარ-ჰყოფს. საზოგადოება ჰქმნიდა პიროვნებას, პიროვნება თავისის მხრივ საზოგადოებაზედ ჰმოქმედებდა, თუმცა საზოგადოებრივი მისწრაფება და ძმობა-ერთობის სურვილი მხოლოდ კერძო ადამიანთა შორის არსებობს, მაინც თითოეულ ადამიანს თავისს პსიხიურს შინაარსს საზოგადო პსიხიურ სამკვიდრებელ ავლა-დიდებისაგან იღებს. ხოლო კერძო ადამიანი ამ სამკვიდრებელის გულ-გრილი მაყურებელი-კი არ არის, არამედ მომქმედს ძალას წარმოადგენს, როგორც შედეგი ყველა წარსულსა და აწმყოში მოპოვებულის გრძნობიერობისა. გარდა ამისა, კერძო ადამიანი თავისს ყოფა-ქცევას ანგარიშს უწევს და ეს ანგარიში, აწონ-დაწონვა იმისაგან დამოკიდებულია, თუ იმის ნება-ხასიათზედ უმაღლესი გონებრივი პროცესი რამდენად ჰმოქმედებს. ამ ანგარიშით იხატება ავ-კარგიანობა კერძო ადამიანის წარმატებისა. ადამიანი ცნობიერს ანგარიშს არა მარტო თავისს ყოფა-ქცევას უწევს, არამედ იგი ცნობიერი მომქმედია საზოგადოებრივ მსვლელობა ევოლიუციისა. იცის რა ადამიანმა, რომ ერთის მხრივ საზოგადოებრივ მოვლენათაგან დამოკიდებულია დ მეორეს მხრით გარემოება-ვითარებაზედ შეუძლიან იმოქმედოს, იგი ისწრაფვის გააფართოვოს თავისი ბედნიერება საზოგადოებრივ ურთიერთობის გაუმჯობესობის საშუალებით. მცხოვრებთა ბუნებრივს შეჯგუფება-კავშირის მხარდა-მხარ არსდება ნება-ყოფლობითი ამხანაგობა-კავშირნი. საზოგადოების წეს-წყობილებას ადამიანი სცვლის და ანვითარებს. ადამიანი იმ ჯგუფთა შორის მიაღწევს ხოლმე უმაღლესს განვითარებას, რომელთაც რთული წყობილება აქვთ. უმაღლესს განვითარებას ვერ მისცემს ინდივიდს ბრბოთა უწეს რიგო ცხოვრება, ვერც საერთოდ კაცობრიობის ცხოვრება. ამისთანა განვითარება მხოლოდ ხელოვნურსა და ცნობიერის შერჩევით შექმნილი გარემოებათა შორის შეიძლება.

მოქალაქეობრივი საზოგადოებანი, გიდდინგსის აზრით, თავიანთ ისტორიულ მსვლელობაში სამს სარბიელ-საფეხურს გადიან ე. ი. სამხედროს, თავისუფალ-სამართლიანს და სამრეწველოს ანუ ზნეობრივ-ეკონომიურს. ეგვიპტე და ბაბილონი პირველ საფეხურს არ გასცილებიან; საბერძნეთი და რომი ვერ ეღირსნენ მეორე საფეხურის დამთავრებას, მხოლოდ თანამედროვე ერთ ასდგეს ნაბიჯი მესამე საფეხურზედ. ერის აღორძინების პირველ ხანს მკვიდრნი მთელს თავისს ძალ-ღონეს პოლიტიკურ ერთობისა და სამხედრო ძლიერების დამყარებას ანდომებდნენ; პოლიტიკურ გაერთიანების და მთავრობის გაძლიერების შემდეგ მცხოვრებთა თავისუფალი ძალ ღონე პიროვნების გაძლიერებასა და „კრიტიკულის ნიჭის“ შემუშავებას უნდებოდა. განვითარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე, მაგრამ ახლა-კი ორივე დედა დაედევნენ ბავშვებს და სცემეს, აზგები წაართვეს და თვალ-ცრემლიანი ბავშვები სახლში მორეკეს. როცა ჰკითხავენ მიზეზს, რადა სცემთ ბავშვებს, რატომ არ უშვებთ სკოლაშიო, დედები ასე გიპასუხებენ: „ჩვენ რაკი სახლი აგვერევა, მაგათი სწავლა რაღას გვარგებსო“.

ა. კობაიძე

## მცირე შენიშვნა

გაზ. „Нов. Обоз.“-ს საგულისხმოდ.

„ნოვოე ობოზრენიეს“ მეფელეტონემ თავისის წერილით „რას ამბობენ ციფირები“ (იხ. № 4533) გვაუწყა, რომ ა) 1701 წელიწადს, ტურნეფორის მოწმობით, ტფილისში დაახლოვებით ყოფილა 20,000 სული მცხოვრები და ამათგან 14,000 სული სომეხი, 3,000 მაჰმადიანი, 2,000 ქართველი და 500 კათოლიკე, და ბ) 1803 წელს, ვლადიკინის სიტყვით, იმავე ქალაქ ტფილისში ყოფილა 2,700 სახლი და ამათგან 2,681 სომხისა.

საიდგან ამოუღია ვლადიკინს ეს ციფირები, ჩვენ არ ვიცით. სწორედ იმ წელიწადს, რომელზედაც გვითითებს ვლადიკინი თავის „Путеводитель“-ში (იხ. გვ. 330), ციციანოვის ბრძანებით აღწერილი იქმნა ტფილისის მოსახლეკარობა და აღმოჩნდა, რომ ქალაქში იყო 3,000 მოსახლეკარე (და არა 2,700!!) და მცხოვრებთა რიცხვი იყო 20,000 სულამდე (იხ. „Сборникъ свѣдѣній о Кавказѣ“, ტ. VI, გვ. 302).

ვლადიკინის წიგნით ჩვენ დიდს მანძილს ვერ გავივლით. აი თუნდ კიდევ შევამოწმოთ შემდეგი ციფირები.

ვლადიკინი 1874 წელს (დაიხსომეთ ეს წელიწადი) სწერს თავის „Путеводитель“-ში (იხ. გვ. 334): „ტფილისის მაზრაში სომეხნი შეადგენენ მოსახლეთა 34$^0/_0$-ს, ხოლო ქართველნი 32$^0/_0$-ს“.

1886 წლის აღწერილობით (იხ. „Сводъ стат. данныхъ о насел. Закавк. края“, изд. закавк. стат. комитета, Тифл. 1893 г.) იყო მცხოვრები:

| | სომეხი | ქართვ. |
|---|---|---|
| ტფილისში. . . | 47,70$^0/_0$ | 23,15 |
| მაზრაში (ტფილისის). | 18,00 | 54,96 |
| ტფილისსა და მაზრაში ერთად. . . | 34,09 | 37,73 |

ეს 37,73$^0/_0$ რიცხვია აგრედ წოდებული „წმინდა“ ქართველებისა, ხოლო დანაშთენების (იმერლების, მეგრელების, მთიულების, ფშავ-ხევსურ-თუშების) ზედმითვლით ყველა ქართველთა რაოდენობა უდრის 40,29$^0/_0$-ს.

ახლა ვიკითხოთ: თუ ვლადიკინის 1874 წელს აღნიშნული ციფირები ყალბი არ არის, მაშ როგორ და რა სასწაულით მოხდა, რომ სულ 11 წლის განმავლობაში (1886—1874) ქართველთა რიცხვმა აიწია 32$^0/_0$-დამ 37,73$^0/_0$-მდე და საერთოდ კი (თუ იმერელ-მეგრელები, მთიულები და თუშ-ფშავ-ხევსურებიც ვიანგარიშეთ)—40,29$^0/_0$-მდე, ხოლო იმავე დროს სომეხთა რიცხვმა იმატა მხოლოდ 0,09$^0/_0$!!

საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ტურნეფორის მიერ აღნიშნული ციფირები. მეთვრამეტე საუკუნე მეტად მღელვარე დრო იყო. შაჰნაოზის სიკვდილიდგან მოკიდებული ვიდრე ერეკლე II-ეს გამეფებამდე მთელს ამერეთს ანიავებდნენ ყიზილბაშნი და ლეკ-ოსმალნი. თვით ტფილისიც არა ერთგზის გაოხრებულ იქმნა. აი ამიტომაც ჩვენ ვხედავთ განსხვავებას იმ ციფირებს შორის, რომელთაც აღნიშნავენ შარდენი (1671 წელს), ტურნეფორი (1701 წ.), დელაპორტი (1768 წ.), ფრაგთა მოგზაურნი 1784 წ. (იხ. „ნოვოე ობოზ.“-ე № 3082) და ტფილისის აღწერა 1803 წლისა.

ტფილისში არის ა) ეკკლესიანი: 6 ქართველთა და 8 სომეხთა (შარდენი), 5 ქართველთა და 7 სომეხთა (ტურნეფორი), 13 ქართველთა და 7 სომეხთა (დელაპორტი), 15 ქართველთა და 20 სომეხთა (ფრაგთა მოგზაურნი), 15 ქართველთა და 24 სომეხთა (1803 წელს *); ბ) მცხოვრებნი: 2,000 ქართველნი და 14,000 სომეხნი (ტურნეფორი), ხოლო 1784 წელს ქალაქში ითვლებოდა 20,000 სული, რომელთაგან 10,000 იყო სომეხი („ნოვოე ობოზრ.“, № 3082), და 20,000 სული იყო აგრეთვე 1803 წელსაც, როგორც ზემორე ვთქვით.

ყველა ამ ციფირების აწევ-დაწევისაგან ის გამოდის, რომ ტფილისი არც ეგრე უპატრონოდ დატოვებული ყოფილა ქართველთაგან, როგორც ჰგონიათ და ამტკიცებენ ახალის დროის ზოგიერთი მოგზაურები.

ჯ—იანცი

*) იხ. „Сборникъ свѣд. о Кавк.“, ტ. VI, გვ. 302. დღეს ტფილისში არის 30 ეკკლესია მართლმადიდებელთა. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი ტაძარი აქვთ სომხებს ამავე ქალაქში.

## ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „ლუჩ“-ი სწერს:

დავიწყე რა 1896 წლის 1 იანვრიდგან გამოცემა ყოველ დღიურ გაზეთის „ლუჩი“-სა, განზრახვა მქონდა დამეარსებინა პატიოსანი, პირუთვნელი ორგანო, რომელსაც ყურადღება უნდ მიექცია ჩვენის ქვეყნის ყველა საჭირ-ბოროტო საქმისთვის და სამსახური გაეწია რუსეთისათვის.

გაზეთმა უეცრადვე მოიპოვა ისეთი თანაგრძნობა, რომლის მოპოვებას რამდენიმე წელიწადი უნდა ხოლმე. ეს თანაგრძნობა, გარდა ზემოხსენებულ მიზეზებისა, გამოწვეულია იმითი, რომ რედაქციამ მოიწვია ნიჭიერნი და პატიოსანნი მუშაკნი, რომელთაც უყვართ გაზეთის საქმე და პატივსა სცემენ მას. გაზეთის საქმე კარგად წავიდა კიდევ იმიტომ, რომ საკმაო ფული დავხარჯეთ საქმის რიგიანად მოსაწყობად და მოვაწყეთ კიდეც იმ გვარად, როგორც შეეფერებოდა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ თუ-კი მტკიცედ შევასრულებდით კანონს ბეჭდვითის საქმის შესახებ და ადგილს მივცემდით გაზეთში ყველა იმ წერილს, რომელიც ემსახურებოდა სიმართლეს, და რომლის დაბეჭდვასაც კანონი ნებას მოგვცემდა,— ამ შემთხვევაში ხელს ვერ შეგვიშლიდა ვერავითარი შემთხვევა და დაბრკოლება.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეხლანდელი ვითარება გაზეთის საქმისა ვერ არის მტკიცეთ და დამოკიდებულია ათას გვარ შემთხვევაზედ, რომლის აცდენა მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელიც ყოფილა. ამიტომ 1 აპრილიდგან თავს ვანებებთ გაზეთის გამოცემას, ხოლო ამასთანავე ვაცხადებთ, რომ გაზეთის ხელის-მომწერნი არაფერს იზარალებენ, რადგან 1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გამოგზავნილი ხვედრი ფული ყველას უკან დაუბრუნდება.

დასასრულ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა შევსწიროთ „ლუჩი“-ს თანამშრომლებს იმ ერთგულ სამსახურისთვის, რომელიც მათ გაუწიეს ჩვენს გაზეთს და აგრეთვე გაზეთის ყველა ხელის მომწერთ და მკითხველებს თანაგრძნობისათვის.

ეს ამბავი მეტად სამწუხაროა, რადგანაც ზემოხსენებული გაზეთი დიაღაც ერთგულად ემსახურებოდა თავისს მოვალეობას და მართლაც სულ მცირე ხნის განმავლობაში მოიპოვა მკითხველთა შორის დიდი თანაგრძნობა და დარწმუნებულნიც ვართ, რომ ამ მკითხველთ ყველას ეწყინება ამ გაზეთის გამოსალმება.

## რუსეთი

ყველას მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა-და-სხვა გამოფენას და განსაკუთრებით სამეურნეო ნაწარმოებისას ხალხის ეკონომიურად გაძლიერების საქმეში. ერთის მხრით ხალხს შემთხვევა ეძლევა გაიცნოს სხვა-და სხვა ნაწარმოები და მეორეს მხრით თვით ამ ნაწარმოებებს ფართო ასპარეზი და ბაზარი უჩნდება, მაგრამ ხშირად გამოფენას ის ნაყოფი არ მოაქვს, რის მოტანაც შეუძლიან. მიწათ-მოქმედების სამინისტროს დიდი ხანია მიუქცევია ყურადღება ამ საგნისათვის და მოუწადინია მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენების უფრო კარგ ნიადაგზე დაყენება. ამ საგნის გამოსაკვლევად ხსენებულ სამინისტროში ამ რამდენისამე ხნის წინად შემდგარა კამისია, რომლის წევრებსაც ცალკე თავ-თავისი აზრი წარუდგენიათ. სამინისტრო ამასაც არ დასჯერებია, კამისიის წევრების აზრი ერთად შეკრებილი გაუგზავნია სხვა-და-სხვა სამეურნეო საზოგადოებისათვის, სხვათა შორის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისთვინაც და უთხოვნია ამ უკანასკნელთათვის წარადგინონ თავიანთი აზრი ხსენებულ საგნის შესახებ პირველ სექტემბრისათვის. როცა შეიკრიბება ეს აზრნი, სამინისტრო განიხილავს და გამოსცემს ცალკე დარიგებას გამოფენების შესახებ.

— ამას წინად გაზეთებში ხმა გაისმა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა, ესრედ წოდებულ მოქალაქეთა წოდებათა შესახებ სულ სხვა წეს-რიგი უნდა იქმნას შემოღებული არსებულის ნაცვლადაო. ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია და მისის გავრცელების მიზეზი ის არის, რომ განზრახული აქვს მთავრობას ცვლილებანი შემოიღოს ამ მოქალაქეთა გამგეობის საქმეთა წარმოებაში და ისიც კანონმდებლობის გზით-კი არა, ადმინისტრატიულის წესითაო.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** ამ დღეებში რუსეთის მთავრობამ ოსმალეთსა და საბერძნეთს გამოუცხადა, რომ თუ რომელმამე თქვენგანმა გაჰბედა და ომი გამოაცხადა, დარწმუნებული იყოს, რომ, ომში კიდეც რომ გაიმარჯვოს, გამარჯვება უნაყოფოდ ჩაუვლისო. რა ადგილებსაც დაიპყრობს იგი, ის ადგილები ისევ უწინდელს პატრონს დაუბრუნდება, რადგან ევროპის დიდნი სახელმწიფონი ურჩობას არავის შეარჩენენ და გამარჯვების ნაყოფს არ აგემებენო.

---

ადამიანი სცდილობს თავისს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას და საზოგადოების თავისუფალ-სამართლიან დაწყობილების შექმნა-შემუშავებას.

არც საბერძნეთსა და არც რომს არ შეეძლოთ ამისთანა დაწყობილების შექმნა. ათინელთ ფილოსოფიისა და კრიტიკულის ნიჭის უმაღლესს განვითარებას მიაღწიეს, მაგრამ კანონიერ-სამართლიანობის დამყარება-კი ვერ შესძლეს. თავისს მხრივ, რომმაც კანონიერის სამართლის ურთიერთობის შექმნაში დიდი პრაქტიკული ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ ვერ შესძლო განევითარებინა განმაცხოველებელი ძალა კრიტიკისა. მხოლოდ თანამედროვე ერთ მიაღწიეს კრიტიკულ ფილოსოფიის სრულს განვითარებას და საზოგადოებაში კანონიერობისა და თავისუფალ მოქმედების დამყარებას. ამ ერთ იმ საფეხურზედ ასდგეს ფეხი, რომელსაც გიდდინგსი ზნეობრივ-ეკონომიურს უწოდებს და რომლის განსაკუთრებული ხასიათი მრეწველობის ფართო განვითარებასა, სიმდიდრის გამრავლებასა, განათლების გავრცელებასა და დაბალ წოდების მდგომარეობის გაუმჯობესობაში მდგომარეობს.

შემდეგი განვითარება ეკონომიურის საფეხურისა, გიდდინგსის სიტყვით, საზოგადოებაში ეთიკურ, ზნეობრივ ცნობიერს განვითარებაზეა დამოკიდებული. მატერიალური და გონებრივი განვითარება, ამბობს იგი, ზნეობრივისა და ფიზიკურის გადაგვარების საფასით შეიძინება. განვითარება არა მარტო შრომაში იხატება, არამედ ტანჯვა-წვალებაშიაც. თითოეული ახალი სამრეწველო გამოჩენა ძველს დამკვიდრებულს წარმოებას სპობს, რითაც დიდ-ძალს მშრომელ ხალხს სამუშაო ესპობა. რამდენადაც დიდი და მაღალია პროგრესი, მით თვალსაჩინოა მისი მსხვერპლთა რიცხვი. მაგრამ საზოგადოების აზრი, ცნობიერება ტანჯვა-წვალებათა შემცირებას თხოულობს. კაცთ-მოყვარეობა და კანონ-მდებლობა ხალხის ცხოვრების გარემოებათა გაუმჯობესობასა და სიღარიბე დანაშაულობის შემცირებას სცდილობენ. სხვა-და-სხვა დასნი აფართოვებენ ხალხის ამომრჩევლობითს უფლებას და ამით აძლევენ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობაში და ეკონომიურის პროგრესით ისარგებლონ. ამომრჩეველთა წესის შეცვლასთან იცვლება შეხედულება სახელმწიფოს მოვალეობაზედ. ის რწმენა მყარდება, რომ სახელმწიფო მოვალეა იზრუნოს მშრომელის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობისა, იმის ჯანმრთელობისა დ. განათლებისათვისაო. თანდათან იზრდება მოთხოვნილება გადასახადის სიმძიმის შემძლებელ წოდებაზედ გადატანისა. გიდდინგს გარდასახადის შემოსავლის კვალობაზედ გაწერა და მუშათა უკმაყოფილება მფარველობითის წესისა, განვითარების მაჩვენებლად მიაჩნია.

ყველა ეს მოთხოვნილებანი ნელნელა საზოგადოებრივს აზრს სცვლიან და მცხოვრებთა შორის იკიდებენ ფეხს.

გიდდინგსი შენიშნავს, რომ ერთს შემთხვევაში სამრეწველო საზოგადოების მოქმედება შეიძლება სიმდიდრის გამრავლება - შეძენისაკენ მიისწრაფ-მიიმართებოდეს, მეორე შემთხვევაში კი — გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისაკენაო. ამისდა მიხედვით საზოგადოების ხასიათიც იცვლება. იქ, სადაც მთელი სიცოცხლე ქონებრივის სიმდიდრის დაუცხრომელ ძებნაშია, ღატაკთა და მდიდართა შორის დიდი განსხვავება და ღატაკ-ბოგანოთა დაჩაგვრა იქმნება გამეფებული, როგორც ოდესმე სამხედრო სახის საზოგადოებათა შორის იყო. ამისთანა საზოგადოებათა შორის ძალა-უფლებით მხოლოდ შეძლებულნი იქმნებიან აღჭურვილნი. კანონმდებლობა მხოლოდ იმათი ნატვრა-სურვილების გამომხატველ-დამაკმაყოფილებელი იქმნება და მთელის თავისის სიმძიმით იმათ წინააღმდეგ იმოქმედებს, რომელთაც ცხოვრების არსებობის ბრძოლაში ბედმა უმუხთლათ. სიმდიდრის შეძენა საზოგადოებრივ აზრსაც სენივით მოედება; კაცის თავისუფლებას, მსაჯულთა სინიდისს და ქურუმთა ლოცვა-კურთხევასაც ფულებით იყიდიან. ამისთანა საზოგადოებას ბოლოს გახრწნა მოელის, როგორც წარსულში ამან რომის დაცემა გამოიწვია და ნანგრევებად აქცია საშუალ საუკუნოების რესპუბლიკანი.

ბოლოს მოვიყვანთ გიდდინგსის აზრს პროგრესის შესახებ. პროგრესი არის შეკავშირების გაადვილება, საზოგადოებრივის დამოკიდებულების გაფართოვება, ქონებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესობა, ზრდა მცხოვრებთა და გონივრულის ყოფა-ქცევის გავრცელება. მაგრამ ზრდა და გაფართოვება საზოგადოებრივის დამოკიდებულებისა, გონებისა და თანაგრძნობის გაძლიერების შედეგია. ამისათვის სუბიექტიურის მხრივ პროგრესი არის განვითარება გრძნობა-გონებისა, რომელსაც დამოკიდებულება „გვარტომობას შეგნებასთანა“ აქვს. თავდაპირველად კაცობრიულს საზოგადოებაში ეს შეგნება ოჯახითა და პირველ-ყოფილის ურდო-ბანაკით ისაზღვრებოდა, შემდეგ ეს შეგნება გაფართოვდა, გავრცელდა ერთ ნათესაურ ერთა წევრთ შორის, ბოლოს,—ისტორიულ ხანს, ამ ერთობისა და მსგავსების შეგნებამ გარემოიცვა ეროვნულ-ხალხოსნური ჯგუფები, ხოლო მომავალში მთელს კაცობრიობაში უნდა გავრცელდეს იგიო.

ე. მ—შვილი

დანარჩენ დიდ სახელმწიფოებმა რუსეთის ასეთს რიხიანს განცხადებას ბანი მისცეს და იგი განცხადება საუკეთესო ღონისძიებად აღიარეს.

მაგრამ, როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ საშუალების შემოვლაც შესაძლებელი ყოფილა. საქმე ის არის, რომ როგორც ოსმალეთი, ისე საბერძნეთი ეცდება, — ომი პირველად ოფიციალურად თითონ-კი არ გამოაცხადოს, არამედ სხვა-და-სხვა საშუალებით იქამდის მიიყვანოს მოწინაამდეგე მხარე, რომ ომი იმას გამოაცხადებინოს და შემდეგ სთქვას — ჩემი რა ბრალია, ომი მე ხომ არ დამიწყია, სხვამ დაიწყო და მე გულხელ დაკრეფილი ხომ არ გავჩერდებოდიო, და თუ გავიმარჯვე, ალბად გამარჯვების უნარიც მქონია და ჩემი გამარჯვების ნაყოფს რისთვის მივკარგავთო. ამის დასამტკიცებელ საბუთს გუშინდელსა და დღევანდელს დეპეშებშიაც ვპოულობთ. გუშინ, მაგალითად, დეპეშამ გვაცნობა: ოსმალეთის მთავარ-სარდალმა თავისს მთავრობას აცნობა, რომ 29 მარტს საბერძნეთის ჯარმა ოსმალეთის საზღვარი გადმოლახა და ბრძოლა აგვიტეხაო. ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ დიდთა სახელმწიფოთ აცნობა, რომ, აი, საბერძნეთმა ომი გამოგვიცხადა და პასუხის-მგებელი ის უნდა იყოსო. ხოლო დღევანდელი დეპეშა იუწყება, რომ ის ჯარი უკან დაბრუნდა და საზღვარზედ წინანდებური წეს-რიგი არსებობსო. ეს ამბები იმისი მომასწავებელია, რომ საბერძნეთი ნელ-ნელა ავიწროებს ოსმალეთს, მოთმინებიდგან გამოჰყავს, იმ აზრით, რომ იქნებ ომი პირველად იმან გამოაცხადოსო.

**იტალია.** 24 მარტს იტალიის ახალმა პარლამენტმა დაიწყო მოქმედება. კრებაზედ მეფე ჰუმბერტო და დედოფალი მიბრძანდნენ, რომელთაც თან ახლდნენ ნეაპოლიტანის პრინცი მეუღლითურთ, აოსტის ჰერცოგი, ტურინის გრაფი, აბრუცისა და გენუის ჰერცოგები და სხ. მეფე-დედოფალს და იმათ მხლებელთ დიდის აღტაცებით მიეგებნენ. პარლამენტის შენობა ავსებით სავსე იყო ხალხით. პარლამენტში მეფემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ფლოტის გასაძლიერებლად ყოველი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რადგან ამას ჟამთა ვითარება გვაიძულებსო. ამის განსახორციელებლად შემოსავალ-გასავლის თანაბარობაც ხელს გვიწყობსო. როცა ფლოტს გავაძლიერებთ, ეს თანაბრობა ისევ მტკიცედ უნდა დავიცვათ, რისთვისაც ხარჯი მხოლოდ მიუცილებელ საჭიროებათათვის უნდა გავიღოთ ხოლმე და ამასთანავე ქვეყნის შემოსავლის გადიდებას ხელი შევუწყოთო. ხალხი კეთილდღეობას და სახელმწიფო ნდობასა და პატივს მაშინ ეღირსება, როცა მკვიდრთა შორის გარდასახადი კანონიერად და კეთილსინიდისიერად იქმნება გაწერილი, რასაც ყველანი უნდა ვეცადნეთო. დამსწრე საზოგადოებამ მეფის სიტყვა დიდის აღტაცებით მიიღო და ხანგრძლივი ტაშის ხმა გაისმა.

---

## დამაკვირდი

(შტეტენჰეიმი)

არიან იმისთანა ცოლ-ქმარნი, რომელნიც მხოლოდ მაშინ იწყებენ ერთმანეთის სიყვარულს, როცა პირველი შვილი მიეცემათ.

***

უფრო ადვილია კაცმა მთელი ერი ჰმართოს, ვიდრე თავისი თავი.

***

ეხლანდელ დროში ძნელად გამოსაცნობია, რომელი უფრო მოთმინებით ამტანია: ქაღალდი, რომელზედაც სწერენ, თუ ტილო, რომელზედაც ჰხატვენ?

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

მეცნიერი ფრანკ ბუკლანდი სწერს მაიმუნის შესახებ: მაიმუნი რომ ცეცხლთან იჯდეს და ცეცხლი ქრებოდეს, ის მაინც ისე იჯდება, სიცივით იკავკავებს და ვერას გზით ვერ მოიფიქრებს, რომ ცეცხლს შეშა ან ნახშირი შეუკეთოს. მისი გონება იმდენად არ არის განვითარებული, რომ ეს უბრალო საქმე მოიფიქროსო. იქნება ეს მართალი იყოს, მაგრამ სხვა მრავალი მაგალითი-კი ამტკიცებს, რომ მაიმუნსა და ზოგიერთ ცხოველებს საკმარისი გონება აქვთ. სახელოვანი მეცნიერი კიუვი სწერდა ერთის მაიმუნის შესახებ. ერთს კაცს მოშინაურებული მაიმუნი ჰყავდა. ამ მაიმუნს სადილად მაგიდასთან დაისვამდა ხოლმე, წინ დაუდგამდა საჭმელს და კოვზს მისცემდა. ამ გვარად მაიმუნი ყოველ დღე თავისს პატრონთან ერთად სადილობდა. ერთხელ პატრონმა საცდელად საჭმელი ააცალა მაიმუნს და ისე შორს გადასდგა, რომ მაიმუნი ვერ მისწვდომოდა. მაშინ მაიმუნმა თავისი კოვზი გაუწოდა პატრონს, თითქოს იმისთვის, კოვზით საჭმელი ამოიღე და მომაწოდეო. იმავე მაიმუნმა დაინახა ერთხელ, რომ მაგიდაზე ჭიქა წაიქცა და გაგორდა. ძირს რომ უნდა გადმოვარდნილიყო ჭიქა, სწორედ ამ დროს დაიჭირა მაიმუნმა.

ნიუფანდლენდის ჯიშის ძაღლმა თუ დაინახა, რომ წყალში კაცი ირჩობა, მაშინვე შევა და გამოიყვანს. იგივე ძაღლი არხეინად უყურებს ხოლმე წყალში მობანავე კაცს. სჩანს იმდენი გონება ჰქონია, რომ გაარჩიოს, ეს კაცი ირჩობა და ეს-კი მხოლოდ ბანაობსო.

სპილოს ადვილად დაასწავლის კაცი ხეტყის მოტანასა და რიგზედ დაწყობას. აი კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ ძაღლს საკმაოდ ჰქონია გონება. ეტლის უკან გამობმულ ძაღლს უკან დაედევნება ხოლმე საჩხუბრად მეორე ძაღლი, თუნდაც იმაზედ სუსტი იყოს. აშკარაა, რომ ძაღლებმა კარგად იციან, რომ ეტლზედ მიბმულ ძაღლს უფრო ადვილად მოერევიან.

ცხენის დასაჭერად ადამიანს სხვათაშორის ასეთი საშუალება მოუგონია. ცხენს ცხრილით ქერს დაანახვებენ და როდესაც მოვა და თავს ჩაჰყოფს საჭმელად, დაიჭერენ. იქნება ზოგმა დასცინოს ამის გულისთვის ცხენს, მაგრამ ეს უსამართლობა იქმნება. თუ ერთხელ მაინც დაუჭერიათ ამ გვარად ცხენი, იმას კარგად ახსოვს და ესმის, დამიჭერენო, მაგრამ თანაც იმას ჰფიქრობს, ქერს მაჭმევენო და ქერის სურვილი სძლევს შიშსა.

ეს მაინც არ ამტკიცებს, რომ ცხენი ძლიერ გონიერი იყოს. ვსთქვათ, ცხენს ფეხები გაეხლართა; იმდენს ხანს დაიწყებს ტოკვასა და ტლინკების ყრას, ვიდრე უარესად არ გაიხლართება და არ დაეცემა. სახედარი-კი უფრო გონიერია და ნებას აძლევს კაცსა გახლართული თოკი მოსხნას. მაგრამ ერთი თვისება-კი აქვს ცხენსა. თუ კაცმა ან პირუტყვმა აწყენინა, ეს დიდ ხანს ახსოვს და სამაგიეროს გადუხდის ხოლმე. ერთი მეცნიერი სწერს: მე და ჩემი მეგობარი ცხენებით მივდიოდით. ჩემის მეგობრის ცხენმა ჩემს ცხენს უკბინა. ჩემმა ცხენმა გაიწია, მაგრამ მე არ გავუშვი და შევიმაგრე. ერთის საათის შემდეგ ეს შემთხვევა დამავიწყდა. ცხენმა შეუმჩნევლად წინ წაიწია და ჩემის მეგობრის ცხენს ტლინკები დაუშინა. ჩემმა ცხენმა კიდევ ორ წელიწადს იცოცხლა, მაგრამ არც ერთხელ არ შემიმჩნევია, რომ ან ადამიანისთვის ან პირუტყვისთვის ერჩოლოს.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი

**ლონდონი.** გაზეთ „Times"-ს კონსტანტინეპოლიდგან სწერენ დეპეშით: „საზღვარზედ, მეცოვოსთან მომხდარ შეტაკებისა გამო პორტამ პარასკევს მიჰმართა ელჩებს ეპისტოლეთი და შეატყობინა, საბერძნეთმა სატევი ომი დაგვიწყო და მისი მუდმივი ჯარი გამოვიდა ჩვენს საზღვარზეო. შაბათს პორტამ კვლავ შეატყობინა ელჩებს, საბერძნეთის ჯარმა უკან დაიწია და საზღვარზედ status-quo დამყარდაო.

**კონსტანტინეპოლი.** საზღვარზედ მომხდარ ამბის შესახებ იუწყებიან: „ბერძნები სამს ადგილს დაეცნენ დისკატოსა და მეცოვოს შორის. ეს ადგილები ძნელად მისაწვდომია და ამიტომ ოსმალელები ძლიერ არ უფრთხილდებოდნენ ამ გზებს. ოსმალეთის გაზეთების სიტყვით, ბერძნები ყველგან უკუ აქციეს, მაგრამ ზოგიერთ ადგილას ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, კრანეასთან მოკლულ იქმნა ერთი ოსმალი; ბერძნების მხრივ ზარალი დიდია; ტყვედ წაიყვანეს ერთი აფიცერი და 17 ჯარის კაცი. საბერძნეთის ორის გემიდგან უნდა გადმოესხათ ნაპირზედ 700 კაცი, მაგრამ ოსმალებმა დაუშალეს; ერთი გემი დალუპეს, ერთი ბერძენი დაატყვევეს. 1400 ბერძენი ნარდუს დაეცა, ბრძოლამ ერთს საათს გასტანა და ბერძნები ვერაფერს გახდნენ.

**ვილნა.** დღეს გარდაიცვალა გენერალ-გუბერნატორი ორჟევსკი.

1 აპრილი

**პეტერბურგი.** 31 მარტს დაიწყო ახალ ხმოსანთა არჩევანი.

**ბერლინი.** კანეიდგან. რადგან კისამოს ციხესთან დროებით აგებულ სიმაგრეთა შერჩენა ძნელია, გადაწყვეტილ იქმნა მათი გაუქმება, რის გამოც უცხო ქვეყნის გემები ზარბაზნებს ესვრიან და დაანგრევენ. რაც შეეხება ციხის დაცლას, ეს თავისს დროს იქმნება. უკვე შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ აკროტირიდგან აპოკორონს წავიდეთო.

**კონსტანტიპოლი.** საერთო რიცხვი საბერძნეთის სამის დივიზიისა, რომელიც თესალიისა და ეპირის საზღვარზედ არის დაბანაკებული, დაახლოვებით უდრის 50,000 კაცს და 168 ზარბაზანს, ხოლო ახალ ნაწილთა შედგენის წყალობით ეს რიცხვი 70,000 კაცამდე იქმნება აყვანილი. თავის ნებით ჯარში შესულთა და მთავრობის განსაკუთრებულ ბრძანებით გაწვეულ ჯარის-კაცთა რიცხვი 80,000 იქმნება.

**კონსტანტინეპოლი.** დამტკიცებულია, რომ მოვიდა თუ არა ცნობა, — პარასკევს, ღამე, ბერძენთა ჯარში თავისის ნებით შესულნი, საბერძნეთის მუდმივ ჯარის მონაწილეობით, თავს დაესხა ოსმალეთის ჯარსაო, — ედხემ-ფაშას ბრძანება გაეგზავნა, წინ გაიწიე ჯარითაო, ხოლო შაბათს ეს ბრძანება რაოდენადმე შეცვლილ იქმნა, რადგან ილდიზ-კიოსკში შიშმა იჩინა თავი და ომის წინააღმდეგნი აზრნი გამოითქვა, რასაც დიპლომატთა მხრივ წარდგენილებანიც დაემატა. იმ გარემოებას, რომ იერიშის მოტანის დროს ბერძნებთან ერთად მუდმივი ჯარიც იღებდა მონაწილეობასაო, პორტა იმაზედ აფუძნებს, რომ ამ იერიშის დროს ზარბაზნები იყო ხმარებულიო და აგრეთვე ბუკი და საყვირი იკვროდაო, რაც უტყუარი დამტკიცებანი არ არის.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის გაზეთის „იკდამის" სიტყვით, ცხრა ათასის კაცისაგან შემდგარი საბერძნეთის ჯარის რაზმი არტასთან ბედითად ეცადა ოსმალეთის მიწა-მამულის დაპყრობას: ბერძნებს დაეხოცათ 175 კაცი და 4 ზარბაზანი გამოეცალათ ხელიდგან. შემდეგ გაზეთები იუწყებიან, რომ ბერძენთა ხუთმა ბატალიონმა და ორმა ცხენოსანმა რაზმმა იერიში მიიტანა კატერინისაკენ და ამ ბრძოლის დროს, რომელმაც ნახევარს საათს გასტანა, ბერძნები უკუ-ქცეულ იქმნენ, ხოლო ოსმალთა ხელში 34 იმათი ტყვე დარჩაო.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

მადლობას ვუძღვნით ბ-ნ ნიკო მაჭავარიანს და ბ-ნ დ. ევანგულოვს, რომელთაც სტეფანწმიდის წიგნთ-საცავს შემოსწირეს 16 ცალი სხვა-და-სხვა ქართული გამოცემებისა კარგის და ჩვენთვის სასარგებლო შინაარსის წიგნები. ამასთანავე ვსთხოვთ ყველა ქართულის წიგნების გამომცემელს საზოგადოებასა და ამხანაგობასა, რომ შეძლებისადაგვარად დაგვეხმარონ თავისის გამოცემის რამდენიმე მცირე-ფასიანი წიგნაკი, რათა იმათის მეოხებით ცოტად მაინც დავაკმაყოფილოთ ხალხში ახლად აღძრული სწავლის სურვილი. იმედია, რომ გამომცემლის დაწესებულებას გარდა მოიპოვებიან ისეთნიც, რომელნიც შემოსწირვენ თითო ოროლა წიგნაკს საკუთარის გამოცემისასაც. ადრესი: Стан. Казбекъ. Андрею Кобаидзе.

ანდრია კობაიძე.

---

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ თავ. ი. ი. ვაჩნაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შეჰკრიბა საზღვარ-გარეთ მიმავალ ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ 35 მან.; აგრეთვე იმათ, რომელთაც ამ კეთილ-საქმისათვის არ დაიშურეს თავისი წვლილი. აი შემომწირველთა სიაც.

ქ. ნოვობაიაზეთი:

| | |
|---|---|
| 1) მიხაკო ზედგინიძე . . . | 3 მან. |
| 2) ა. გომელაური . . . | 3 მან. |
| 3) მღვდელი ჩიტაძე . . . | 2 მან. |
| 4) ალაბაბეკოვი . . . . | 3 მან. |
| 5) მ. ცალქალამანიძე . . . | 2 მან. |

ელენოვკა (ნოვობაიაზეთის მაზრა)

| | |
|---|---|
| 1) თ. ივ. ვაჩნაძე . . . . | 5 მან. |
| 2) ი. იარალოვი . . . . | 3 მან. |
| 3) გ. ფხაკაძე. . . . . | 3 მან. |
| 4) დ. მიხაილიდის . . . . | 1 მან. |
| 5) № . . . . . . . | 1 მან. |
| 6) კ. პეტროვსკი . . . . | 1 მან. |
| 7) ტერ-გრიგოროვი . . . | 2 მან. |
| 8) გ. ვასილიევი . . . . | 2 მან. |
| 9) ნიკოლაი ბოლქვაძე . . . | 3 მან. |
| 10) ა. ვართაზაროვი . . . | 1 მან. |
| ჯამი— | 35 მან. |



# განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.
ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიონის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (12)

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (6)

---

ახლად გამოვიდა და იყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური. იყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.